



საპროლეტარული სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 ლეკიანობა, 330 რა, 1986 წ. № 289 (9400) © შპსი ვ პაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან



პროლეტარული ფიზიკური კულტურისათვის

საქართველოს სპორტსახელოები

როცა ყოველწლიური შედეგები გამოდგება, ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარების მაჩვენებლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მართობიდან ერთად ენიჭება მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებას. როგორც ადრე ვიწყოებით, საქართველოს სპორტსახელოების კოლეჯი იმსჯელა ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე წელს „ოლიმპიური გეგმის“ შესრულების შედეგებს. კოლეჯი კრიტიკულად შეაფასა ამ საქმეში არსებული არასაბრძოლველი მდგომარეობა და მკაცრად, პერსონალურად მოსთხოვა პასუხი პასუხისმგებელ მუშაკებს.

ტეზში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს, რომლებიც ქვეყნის ნაკრებ გუნდებში გამოდიოდნენ, 9 მედალი დაუგება. აქედან პირად პირველობაში: „ოქრო“ — 2 და „ბრინჯაო“ — 2; გუნდურში: „ოქრო“ — 3, „ვერცხლი“ — 1 და „ბრინჯაო“ — 1. ზემოაღნიშნულ შეჯიბრებებში დაკავებული ადგილების შესაბამისად საქართველოს სპორტსმენებს სულ უნდა მოეზოვეთ 29,56 ქულა. ფაქტობრივად წლის დასასრულამდე ერთი თვით ადრე მოპოვებულია 1 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი, პლუს 0,9

იხ. გვ. 2 გვ.

გუშინ თბილისის სპორტის სახელში დამთავრდა ხელბურთულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი ვაჟთა „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. იხ. გვ. 3 გვ.

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა სფეხბურთო მატჩი II ლიგის წარმომადგენელს „ლოკომოტივის“ (თბილისი) და საქართველოს ჩემპიონს „შეარდენი“-სპის შორის. გამარჯვებული გუნდი უფლებას ღებულობდა გაისად II ლიგის საკავშირო შეჯიბრებაში ეასარება. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა „ლოკომოტივის“ გამარჯვებით — 2:1, რომელმაც შინარჩო ადგილი II ლიგაში

ნაკრებიდან კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვერული

ჯუმბერ ლაშვი

ნათყვამია, კრიტიკოსი ხელმოცარული მწერალიაო. თუ ამ გამოთქმას სპორტში მოგუძებნით ანალოგიას — შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარგი მწერალი ხელმოცარული სპორტსმენია. სპორტის ვარსკვლავები იშვიათად აღწევენ წარმატებას საწვრთნელ ასპარეზზე. ამის მიზეზია ის, რომ დიდი სპორტსმენი თავის თავს სარბიელზე „ნარჯავს“. „ხელმოცარულს“ კი, რომელიც ვერ ახერხებს თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას, სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ სურვილი უჩნდება თავისი ოცნებები სხვისი დახმარებით განხორციელოს — მისი წარმატება გაითავისოს.



ბი“ დაუღაშქრავ დარჩა, არადა, მეტის მიღწევა ჩვენს თქვის სახელში ბილიკზე შეუძლებელი იყო. მაშინ ბურ რესპუბლიკაში აქო-

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს აკრობატულ ხტომებში ჯუმბერ ლაშვს არც ნიჭი და არც შრომის უნარი სხვაზე ნაკლები არ ჰქონია. ჩვენი რესპუბლიკის მხტომელი აკრობატებიდან პირველად მან შეასრულა „სალტო მორტალე“ (ორმაგი მალაყი), იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისა და თანის გათამაშების ფინალისტი. ბევრი სპორტსმენი ამ წარმატებით კმაყოფილი იქნებოდა და ვალბოდილი დატოვებდა სპორტულ სარბიელს, მაგრამ ჯუმბერმა იცოდა, რომ უფრო მაღალი „მწვერულე-

იხ. გვ. 3 გვ.

სიხალეთა ესტაფეტა

„შინტელსკაია გუგუბას“ სტარტები

ეს ღონისძიება, რომლის თაოსანია „უჩიტელსკაია ვაზეტა“, მხოლოდ პედაგოგიური კოლექტივებისთვის ტარდება. საკავშირო დაუსწრებელმა შეჯიბრებამ უნდა გამოვლინოს ის კოლექტივი, სადაც მოსწავლეთა შორის საუკეთესოდაა ორგანიზებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. ამ ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ განაცხადს განუთხრის რედაქცია იდეის სასკოლო, სკოლამდელი აღზრდისა და სკოლისგარეშე ორგანიზაციებიდან. სკოლებიდან გაგზავნილ გუნდებს ხელს აწერს დირექტორი, აღგილკომი და ფინალზრდის მასწავლებელი. განაცხადში ნაჩვენებია უნდა იყოს შეჯიბრებებში მონაწილე პედაგოგთა რაოდენობა და ის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, რომელშიც ისინი მიიღებენ მონაწილეობას.

„უჩიტელსკაია ვაზეტას“ რედაქციაში განაცხადების ვაგზავნის ბოლო ვადა მიმდინარე წლის 20 დეკემბერი.



მომენტი განვლილი მატჩიდან. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ქართლში — პირველი!

გორის რაიონში გაუხედავა იოზორი და შვიქმეხაბა საცხენოსნო სპორტული გზა


„მეცხენობის, საცხენოსნო სპორტისა და ტურიზმის განვითარების შესახებ“ საღიერქტივო დადგენილების შესასრულებლად გორის რაიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გახსნას იოზორი და შექმნას საცხენოსნო სპორტული გზა. ამ დღეებში რაიონში მიიწვიეს სპეციალისტები, ექსპერიმენტული მუშრობა-ტექნიკური ზონაში შეიქმნა შესაფერისი ადგილი, რომელიც

ფაქტურად ქ. გორის ტერიტორიის მომიჯნავეა და იმ შესანიშნავი სპორტული კომპლექსის გაგრძელებას წარმოადგენს, ახლახან რომ გაუხედა რაიონში. იოზორის მშენებლობას ძირითადად დაიწყებენ/საზოგადოებრივ საწყისებზე, ცხენებს კი შეიქმნენ სასოფლო ორგანიზაციების სახსრების კომპიერებით. პრაქტიკულ საშუალებს ამ დღეებში შეუღებებიან.



გაგუბა საპროლეტარული

საპროლეტარული კრივის მოყვარულებს საინტერესო სანახაობა ელთ — 17 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება V საერთაშორისო ტურნირი ვაზეტა „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე. შეჯიბრებაში, რომელშიც 1969-1970 წლებში დაბადებული მოკრევეები გამოვლენ, მონაწილეობის სურვილი გამოთქვენს კულემა, რუმინელმა, ფინელმა და პოლონელმა სპორტსმენებმა. ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას სამი კოლექტივი დაიცავს — საბჭოთა კავშირის ქაბუკთა ნაკრები, საბჭოთა კავშირის პროფკავშირული ორგანიზაციის გუნდი, საქართველოს ქაბუკთა ნაკრები. გთავაზობთ ტურნირის ვანრიგს: 17-18 დეკემბერი, შესარჩევი ორთაბრძოლები: 12 და 18 სთ. 19 დეკემბერი, ნახევარფინალური ორთაბრძოლები: 12 და 18 სთ. 20 დეკემბერი, ფინალები: 12 სთ.



გაიხანით — მს ფრისტაილია!



ფრისტაილი... ეს სახელი ალბათ ბევრი სპორტის მოყვარულისთვის არის ცნობილი, მაგრამ სათხილამურო სპორტის ამ ახალ სახეობას ისინი იცნობენ ძირითადად მსოფლიო ჩემპიონატისა თუ საერთაშორისო შეჯიბრებების ფრაგმენტებით, რამდენჯერმე რომ ვაღმოსცა ცენტრალურმა ტელევიზიამ. და აი, მალე ჩვენშიც ვიხილავთ ფრისტაილს — რესპუბლიკის სპორტსახელოების გადწყვეტილებით იგი საქართველოშიც უნდა დაინერგოს. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის საუბარს ზამთრის სახეობებში სპორტსახელოების მთავარ მწვერულზე ზურაბ ვაშაქიძესთან.

თქვენ რა მიგაჩნიათ საქართველოში ფრისტაილის განვითარების ხელშეწყობ პირობებში? — ვიდრე კითხვაზე პასუხს ვაგვემდეთ, მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა თვით ამ ახალი სახეობის შესახებ. ფრისტაილი არის სათხილამურო სპორტის ნაირსახეობა, რომლის პროგრამაც სამი ნაწილისაგან შედგება: სათხილამურო ბა-

იხ. გვ. 4 გვ.

მუხრანდებით დაგაქადილს

„რსთმის აზნადა სასროლეთი“ ამ სათურით გამოქვეყნებულ წერილში, აგრეთვე ცალკე დაბეჭდილ ფოტომასალაში, და თენგებ ხერხეულიძის სტატიაში „რა სჯობს კარგ ამინდს?“, საუბარი იყო ვაშლიკვარში მდებარე დოსაფის სასროლეთზე, კერძოდ იმის შესახებ, რომ სასროლეთი მოუგული და დაუკომპლექტებელია. პასუხად დოსაფის ხელმძღვანელობამ გვაცნობა: „ვაზეთის კრიტიკული გამოხვლა განვიხილეთ დოსაფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ხსდომაზე. დავსახეთ დონისიებები აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად და ტყვის სროლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე სასწავლო საწვრთნელი პროცესებისა და შეჯიბრებების უწყობ წარმართვისათვის. ეს თანამდებობის პირნი, რომელთაც დაუშვებს აღნიშნული დარღვევები, დისციპლინარული წესით დაინაჯენ.“

თანხილ ჩაბიძა, დოსაფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს სსრ-ის საგარეო ურთიერთობები

დსსსრ-ში
ქულა თანამედროვე ხუთკუთხედი (V ადგილი) და ფარეკობაში (VI). სულ მხოლოდ 9,9 ქულა მოგროვებული, რაც გეგმიურის მხოლოდ 33,5 პროცენტია.
შედარებისთვის აქვე ვიტყვი, რომ 1985 წლის გეგმა გადაჭრებით შესრულდა. დაგეგმილი 13,85 ქულის ნაცვლად ჩვენმა სპორტსმენებმა შარშან დამსახურეს 19,83 ქულა. ახი პროცენტით შესრულდა ოქროს მედლების გეგმა (8), „ბრინჯაო“ კი ნაცვლად ერთი, მოაგებულია — ორი.
წელს რა სახეობაში და ვის უგეგმავდნენ მედალს?

თავისუფალი ზიდაობა. გახსოვთ ალბათ დ. გობეჯიშვილმა მხოლოდ პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა, დაგეგმილი კი პირველი ადგილი იყო.

ძიულა „ბრინჯაო“ უგეგმავდნენ. ზაბარდუღი, კ. კურტიანი და ლერი ნაკანს. იტალიაში ევროპის ჩემპიონატზე მათ ვერც ერთი საბრინჯაო ადგილი ვერ დაიკავეს.

ზარბაზნაძე გეგმა—1 „ვერცხლი“ გუნდურ პირველობაში. ბულგარეთში მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელშიც ვ. აფთიაღური გამოიღო, სსრ კავშირის ნაკრებმა დაიკავა VI ადგილი.

წაღპურთი. იგეგმებოდა 1 გუნდური „ოქრო“, მაგრამ მ. გიორგაძე ქვეყნის ნაკრებ გუნდში ვერ მოხვდა.

აზროსნობა. იგეგმებოდა V ადგილი — გ. ბიგანიშვილი. სსრ კავშირის ნაკრებს ამ შეჯიბრებაში აშშ-ში მონაწილეობა არ მიუღია.

თანამედროვე ხუთკუთხედი. გუნდურ შეჯიბრებაში მოელოდნენ „ოქროს“, პირადში — V ადგილს. ვ. იაგორაშვილმა პირად პირველობაში დაიკავა XIV ადგილი, სსრ კავშირის ნაკრებმა — V.

სახტანო სროლა. იგეგმებოდა „ოქრო“, მაგრამ თ. იმანიშვილმა გდრ-ში მსოფლიო ჩემპიონატზე ქულაც ვერ მიიღო.

ხელბურთი. გათვალისწინებული იყო გუნდური „ოქრო“, მაგრამ ა. ანაბლოგოვი ქვეყნის ნაკრებ გუნდში ვერ მოხვდა.

ფხვბურთი. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში იგეგმებოდა „ბრინჯაო“ — ა. ჩივაძე.

ბავშვის სროლა. აქ მედალი და ქულები არ იყო დაგეგმილი, მაგ-

შეხვედრა პოლიგრაფისტებთან

გალაქი პოლიგრაფიული კულტურის მქონე საწარმო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა. აქ სამეცნიერო სამსახურთან ერთად ზოგჯერ სპეციალური ვიდეოც იმუშავებდა. სწორედ აქ იხილეს დღის სინათლე ნონა გაფრინდაშვილის წიგნი „არსი ჩემი ცხოვრებისა“, ქალთა მსოფლიო კონგრესის ბოლო ხუთი მატჩისადმი მიძღვნილი კრებულმა, თ. გიორგაძის „სპარტაკის ანბანი“, ვ. კალანდარის „საბჭოთაო იდეების ენციკლოპედია“ და სხვა.
ამ დღეებში აკადემიის სტამბის მუშა-მოსამსახურებმა გულთბილი შეხვედრა მოუწვეს ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონს, დიდოსტატ მიაი ჩიბურდანიძეს, რომელიც ეს-სისა დაბრუნდა არაბეთის გაერთიანებული სამეორებოდან, სადაც სპარტაკო ოლიმპიადში მონაწილეობდა. სტამბის დირექტორმა რ. გრიგოლიამ სტუდენტებს საამქროების და პოლიგრაფისტთა საქმიანობა გააცნო. შემდეგ ყველანი საწარმოს კლუბში შეიკრიბნენ. ახალგაზრდა პოლიგრაფისტების სახელით ჩემპიონს მიესალმა კომპაგნიის კომიტეტის წევრმა ნ. გეგუაშვილი. სიტყვა წარმოთქვა სპეციალური მიმომხილველმა თ. გიორგაძემ. მიაი ჩიბურდანიძემ დასწრეთ გაუზიარა ქა ქალბატონებს გამართულ საქართველო ოლიმპიადზე მიღებული შთაბეჭდილებები და შეკითხვებზე უპასუხა მათ.
დასასრულს სტამბის მუშაკებმა მიაის თვითნაწი ნახელავი წიგნები უსახსრეს.

ჩაგვხვდა პრეზიდენტი ბარბაქაძე

გორანათა და ქაბუთა საკავშირო პირველობების ორ-ორი საგუნდო რისთვის მებრძოლ მოჭადრაკეებს ბოლო ტურის პარტიები დარჩათ გასამართი. ამის მოუხდევად, ქაბუთა შეჯიბრებაში უკვე გამოკვლინდა ორი იბლბოლის მოჭადრაკე, თუმცა იბლბოლი რა სახსენებელია, როცა იანის ზოპოვმა (თბილისის 69-ე სკოლა, X კლასი) 8 შეხვედრიდან 7 მოიგო და ერთი პარტია ყაიბით დაამთავრა, ხვთა სუპერ-შეგეგმა (ქუთაისის პედინსტიტუტი, I კურსი) კი 6 მოიგო და მხოლოდ ორ მეტოქეს დაუხვდა. ბოლო

რამ ნ. ხალუქვაძემ მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვა „ბრინჯაო“ (4 ქულა).

წემოდანიშნულ სახეობებში სპორტსმენთა მომზადებაზე პერსონალური პასუხისმგებლობა და გეგმების შესრულებაზე კონტროლი ევალებათ მწვრთნელებს, უფროს მწვრთნელებს, სპორტსაბჭოს მთავარ მწვრთნელს, შესაბამისი განყოფილება-სამმართველოების უფროსებს, სპორტული საზოგადოებებისა და უმაღლესი სპორტული და ოსტატების სკოლების ხელმძღვანელებს: ა. ჰაბუღიანი, ხ. ფეიჭიშვილი, ა. ჰაბრუაშვილი, ო. ჩიხაძე, ზ. ხუბუა, თ. მელაძე, ზ. მაჩხანელი, გ. ბერაშვილი, ა. გახივანი, ა. კატარიაძე, გ. ხალაძე, ლ. მეტევიანიშვილი, ვ. ქორიაშვილი, გ. გაბუნია, ა. შეროია, ო. ლუცენკო, ვ. ხალუქვაძე, ო. იმერლიშვილი, დ. თორიაძე, გ. ფიცხიშვილი, ვ. მურადიანი, ო. შოშიტაშვილი, მ. სახვაძე, რ. მანჯავიძე, გ. ბოტაშვილი, დ. იაშვილი, ზ. გვაჩავაძე, ჩხიკვაძე, დ. კვიციანიძე, ე. დუღუშაური, ა. კუბანიძე, ნ. ვახარია, ნ. ერატე; ე. მანიაძე, ნ. ბაქარაძე, თ. ლეიშვილი და კ. გონაძე.

რაც შეეხება სსრ კავშირის ზეერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადებას, გეგმით გათვალისწინებულია 25 სპორტსმენის მომზადება ან შესაბამისი ნორმატივის განმეორება. ჭრჭერობით დავალება შესრულებულია მხოლოდ 70 პროცენტით (17 სპორტსმენი). გეგმა არ შესრულდა: თავისუფალ ქილაობაში (68 კგ), კლასიკურ ქილაობაში (48 კგ), მძლეობაში (შუბი, ქალები და 10000 მ. ვაუები), ტყვიის სროლაში (ვარჯიშები მე-9 და მე-12), ფეხბურთში (1 სპორტსმენი).

სპორტული საზოგადოებებიდან და უწყებებიდან გახვედრა ვერ შეასრულეს:

„ბურევესნიკი“ (1 სპორტსმენი) — მძლეობაში; „შრომითი რეზერვები“ (1) — კლასიკურ ქილაობა; არმიის სპორტულმა კლუბმა (1) — თავისუფალი ქილაობა.

კოლეგიაში სპორტულ საზოგადოებებსა და უწყებებს, სპორტსაბჭოს განყოფილებებსა და სამმართველოებს, მათ ხელმძღვანელებს მოსთხოვა საფუძვლიანად შეისწავლონ და დროულად ჩაწვდნენ გეგმების შესრულებლობის კონკრეტულ მიზეზებს. სპორტის ცალკეულ სახეობებში გააანალიზონ ეს მიზეზები და გაატარონ დამატებითი ღონისძიებები, დააწესონ პირადი კონტროლი, რათა გეგმები, განსაკუთრებით ოლიმპიურ სახეობებში, განუსრულებად შესრულდეს წლის ბოლომდე.

რაიმ გომეზაური.

ტურში მათ გელარაინ დაეწევა, ხოლო თუ ვინ გახდება შეჯიბრების გამარჯვებული, ამას 15 დეკემბერს გავიგებთ, როცა ეს ყმწველები ერთმანეთს შეხვდებიან.
ვალდებულ ვართ გავამარჯვებულს 4 წრედ მიმდინარე კადეტთა მატჩ-ტურნირიდანაც. ეს გახლავთ ჩოხატაშვილის 1-ლი საშუალო სკოლის მეცხრეკლასიანი გიორგი გოგოლაძე. მან 3 წრედ დაუმარცხებლად განვლო და 5 ქულითა და ერთი გადადებული პარტიით მიუწველომელი გახდა მეტოქეებისთვის (შეგანსებთ, კადეტები ერთადერთი საგუნდოსთვის იბრძოდნენ).

კლუბში მათ გელარაინ დაეწევა, ხოლო თუ ვინ გახდება შეჯიბრების გამარჯვებული, ამას 15 დეკემბერს გავიგებთ, როცა ეს ყმწველები ერთმანეთს შეხვდებიან.
ვალდებულ ვართ გავამარჯვებულს 4 წრედ მიმდინარე კადეტთა მატჩ-ტურნირიდანაც. ეს გახლავთ ჩოხატაშვილის 1-ლი საშუალო სკოლის მეცხრეკლასიანი გიორგი გოგოლაძე. მან 3 წრედ დაუმარცხებლად განვლო და 5 ქულითა და ერთი გადადებული პარტიით მიუწველომელი გახდა მეტოქეებისთვის (შეგანსებთ, კადეტები ერთადერთი საგუნდოსთვის იბრძოდნენ).

ლახის წრეში

მართი ანეკდოტი მახსენდება: მან მოცურავეებსა და წყალში მტომელებს რომ პირდება, თუ მჭუთ იქნებით, აუზში წყალსაც ჩაგისხამთ. ამ ანეკდოტის „გმირი“, ეტყობა, პირიანი კაცია, დანაირების ასრულებს, ქუთაისელ მოსწავლეებს კი რატომღაც უსამართლოდ ექცევიან. დიას, ბავშვები ჰქუთათაც იქცევიან და ბეჭითადაც სწავლობენ, მაგრამ აუზებში წყალს არაფერ უსხამს. დიდი-დიდი, სხვის საჩვენებლად ავსონ, ისიც ერთხელ ან ორჯერ, თანაც ცვი წყლთ. არადა, „ზღვის ლომები“ ჩვენ არ გვეყვან, ცვი წყალში რომ გადაეშვან. ის კი არადა, ცურვის მცოდნენიც ცოტანი არიან. თუ „შელამაზებულ“ მონაცემებს გადავხედვთ, დავრწმუნდებით, რომ ქუთაისში ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა, დაახლოებით 40 პროცენტზე მეტმა, ცურვა არ იცის.

იყო დრო, ქუთაისელი ბიჭები რიონის ჩქერებში ეუფლებოდნენ მხარულს (მაშინ, ალბათ, გაცილებით ნაკლებმა გოგონამ იცოდა ცურვა) და ახანოს სახურავიდან სტეპოდნენ წყალში. მაგრამ შემდეგ



ასე გამოიყურებოდა ქუთაისის № 17 სკოლის საცურაო აუზი ერთი წლის წინათ. ამ დღეებშიც ვმწვეთ აუზს... ამ ერთ წელიწადში მხოლოდ სკამები ამოუღიანთ აუზიდან, ესა და ეს.

ტექნიკურმა პროგრესმა რიონში ცურვა სახიფათოდ აქცია. და აი, რიონისპირა ქალაქში აუზები აშენდა — ჭერ ცენტრალური, მერე განათლების განყოფილების. ერთ-ერთს ახალტებს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ბევრი ხელისშემშლელი მიზეზის მიუხედავად ეს აუზები შეუფერხებლად მუშაობენ.
დღემდე უქმად იდგა სპორტული კომპლექსის დახურული აუზი (ერთადერთი ქალაქში!), ახლა იგი კაპიტალურ რემონტშია.

მაგრამ რა დავტოვებთაც არ უნდა იმუშაოს ამ კომპლექსმა, ყველა მსურველს მაინც ვერ დაეკმაყოფილებს (რა თქმა უნდა, თუ ცურვა პოპულარულ სახეობად იქცევა ქუთაისში), რადგან ახალი ტიპური სკოლების მშენებლობის დაწყებამდე არც ერთ სასწავლებელს არ მქონდა აუზი. ეს სახეობაც სწორედ ამიტომ ჩამორჩა (დღეს არაფერის ვიტყვით ქუთაისურ ფენომენზე, როცა აქ აუზების გარეშე ცნობილი წყალბურთელები და მოცურავეები იზრდებოდნენ, ტრეკის გარეშე — მსოფლიო ჩემპიონი, დანადგარების გარეშე — ჩემპიონები ტყვიის სროლაში. რომელიც ერთი ჩამოვთვალეთ).

...სახეობა ჩამორჩა, რადგან ცურვის სექციაში ნაკლებად მოდიოდნენ მოზარდები, შარშანდელი მონაცემებით იაწყლონო სპორტის ყველა სახეობაში ახალგაზრდობის მხოლოდ 3 პროცენტი იყო გაერთიანებული. მეტი, ალბათ, არც სადღისო მაჩვენებელი იქნება.


სანამ სასკოლო აუზებზე გავაგრძელებდით სიტყვას, მოდიოდა საბავშვო ბაღებში შევიხედოთ. ქალაქში არსებულ 58 ბავშვობიდან მხოლოდ 18-ს აქვს საჭუშმალო და ისიც ღია. ბავშვები ზაფხულში დასასვენებლად მიდიან, შემოდგომა-

„გაპარული“ ცხელი და სითბო

ახე უმოქმედო აუზები და ცურვას დანატარული გახვედრა

სა და გაზაფხულზე კი, მოგეხსენებათ, საკმაოდ ცივა და ღია აუზში უჭირთ ვარჯიში. ბაღებში არ არის შესაბამისი სასწავლებლები, ამიტომ, საჭუშმალოები უქმად რომ ცდებიან.
ცურვა ყველა ქალიშვილმა და ქაბუთა უნდა იცოდეს! დროული მოწოდება, სასარგებლო რჩევა, მაგრამ სად ისწავლონ ცურვა ქუთაისის უმაღლესი სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა, საწარმო-დაწესებულებების თანამშრომლებმა; როცა არც სასწავლებლებში და არც დაწესებულებებში მარტივი ტიპის საცურაო აუზებიც კი არ არის?

იმედოდ დაგვრჩენია №11, 15, 17, 20, 25, 26, 27, 28 საშუალო სკოლების აუზები.
ეს აუზები ჭერ კიდეც გახული წლის დამდეგს დავთვალდებოთ (მაშინ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთობლივი დადგენილება მიიღო ცურვისა და ბავშვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ). შემდეგ ზაფხულის პირველ ვეწვეთ, ამ დღეებში მოვიხსნათ... მდგომარეობა




ამ დღეებშიც ვმწვეთ აუზს... ამ ერთ წელიწადში მხოლოდ სკამები ამოუღიანთ აუზიდან, ესა და ეს.

ბ. მალაფერის ფოტო.

რომელიც მაშინ დაუმთავრებელი იყო. მშენებლებს უთქვამთ, რომ დე თვეში ჩაგაბარებთო. ორი თვეც გავიდა და ორი წელიც, დაუმთავრებელი კარნიშებიდან წყალი ჩამოდის... აუზი არ იცხება, რადგან მიღები არ გაუყვანიათ. ბოილერის დასამონტაჟებელია. სანტექნიკის უბანი დანაშარებას შეპირდა სკოლას, მაგრამ აქ დღემდე ამოღებულია საქმეთა მწარმოებელ ახლან ციხაქს... არადა, რამდენი რამაა განაკეთებელი...

36-ე სკოლა, ამ სასწავლებლის ახალგაზრდული კოლექტივი ბავშვთა ფიზიკურ აღზრდას დიდ ყურადღებას აქცევს. ამ მიზნით აქ ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, მაგრამ აუზს არაფერი ეშველა, თუმცა იგი წყლითაც არის სავსე და მოვლილიცაა, მაგრამ გაყვანილ წყალში ჩასაშვებად როგორ გაიმეტებენ ბავშვებს. ერთი სიტყვით, აქაც გათმობის საკითხი მოუგვარებელია.

სკოლის კოლექტივმა მე-6 მსკრ. რაიონში არსებული საბოილერო თავად „ალმაჩინა“, მაგრამ მის „პატრონს“ ვერ მიაკვლიეს. კაპიტალური მშენებლობის სამმართველოში უხსრეს, თბომურწრობას



ამ დღეებშიც ვმწვეთ აუზს... ამ ერთ წელიწადში მხოლოდ სკამები ამოუღიანთ აუზიდან, ესა და ეს.

ბ. მალაფერის ფოტო.

გაიგარჯვა „კარკოვის გუნდმა“

მეორესი — 4:2) არმიელმა მოჭადრაკეებმა მოიგეს და თასიც მათ დაისაკუთრეს. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: მსოფლიოს ექსპერიმენტი ანატოლი კარპოვი, დედოსტატები: არტურ იუსუბოვი, ვლადიმერ ტუქმაკოვი, სმბათ ლუბტანინ, სერგეი სოლოვიოვი, ვლადიმერ მალანოვი და ევგენი ვლადიმეროვი.
გთავაზობთ მირო-მეტრეხის შე-

ბ. მალაფერის ფოტო.

გათამაშდა!

საერთაშორისო ტურნირის მეოთხე დღეს ლიდერმა — სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა მეოთხე გამარჯვება მოიპოვა, ხოლო გათამაშების აუტსაიდერებმა — ჩვენი რეპუბლიკის ხელბურთელებმა მეოთხე დამარცხება განიცადეს.

დიახ, სატურნირო ცხრილში სწრაფად მოძრაობდა პოლუტეხე მყოფი ეს გუნდები ამ დღეს ერთმანეთს ხელბურთელები. ცხადია, სენსაციია არ მოხდა. ქვეყნის მთავარმა გუნდმა დამარჯვებელი გამარჯვება მოიპოვა.



ტურნირში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ვა, თუმცა პირველ ნახევარში მასპინძლებმა ერთგვარი წინააღმდეგობა გაუწიეს რანგით უფროსებს. შესაშური სიზუსტით განმეორდა წინა შეხვედრების ამბავი — ქართულმა ხელბურთელებმა ამ მატჩშიც პირველობა გახსნეს ანგარიში (ბულია), მაგრამ ტიუმენემა იქვენი შედეგ მასპინძელთა გუნდის კარს იცავდა რიგით მესამე მეკარე — 16 წლის ივოცკი (15:16, 17:18, 18:19... სამწუხაროდ, ჩვენმა გუნდმა ისევ სუსტად ჩაატარა მატჩის დაბოლოება და სხვაობამ ანგარიში ერთი ბურთიდან 11-მდე მიაღწია — 21:32.

რუმინეთის გუნდისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრაში პირველი ტაიმი საბჭოთა ხელბურთელებმა მოიგეს — 17:13, მაგრამ რუმინელებმა თავდაპირველი თამაშით გათანაბრეს ანგარიში და გამარჯვებს ერთი ბურთის სხვაობით — 29:28. გამარჯვებულთაგან განსაკუთრებით აქტიური იყო ზაგარია, რომელმაც 11 გოლი გაიტანა.

იუგოსლავიისა და პოლონეთის გუნდების მატჩში უპირატესობა თავიდანვე პოლონელების მხარეს იყო. ამაზე, ვფიქრობთ, ანგარიშიც მეტყველებს — 29:20 (15:10).

გაუზინ ხელბურთელთა ტურნირზე უკანასკნელი შეხვედრები გაიმართა.

საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა დამარცხა რუმინეთის გუნდი — 30:20 (13:10) და ქულათა მაქსიმუმით (10) პირველი ადგილი დაიკავა. იგი მეოთხეაქტიურად ვახდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზის მფლობელი.

მეორე ადგილზე 6 ქულით პოლონეთის ნაკრები გავიდა, მესამე ადგილზე იუგოსლავიის გუნდი (5 ქულა), შემდეგ მოდიან: რუმინეთი, სსრ კავშირის მეორე ნაკრები (4-4 ქულა) და საქართველო (1 ქულა). ეს ერთდღობით ქულა ჩვენმა ხელბურთელებმა დასკვნით მატჩში მოიპოვეს იუგოსლავიის გუნდთან — 24:24 (10:17). ამ დღეს სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ანგარიშით 31:28 (13:15) სძლია პოლონეთის გუნდს.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მოიპოვა რუმინელმა კრისტინ ზაგარია — 37 ბურთი. მეორე ადგილზეა ადამ დავიძიძე (პოლონეთი) — 30, მესამეზე — ვლადიმერ მიხუტა (საქართველო) — 28.

სიტყვას ვაძლევთ ავსტრიელ მსაჯს გუსტავ გურციხას:

— მე და ჩემი კოლეგა პანს ხუფაგელი პირველად ჩამოვედით თბილისში. ჩემს შესახებ რა შემიძლია ვთქვათ... 38 წლის ვარ, 10 წელიწადია ვმსაჯობ ხელბურთის მატჩებს, ახალგაზრდობაში ვენის „პალიცის“ ხელბურთელთა გუნდის თავდამსხმელი ვიყავი, ქვეყნის ოქროსი ნაკრების ღირსებას ვიცავდი, 18 წელიწადი ვითამაშე. სულ 114 საერთაშორისო მატჩში ვმსაჯე, აქედან თბილისში — ხუთჯერ. შეამაყება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების მსაჯად მიმიწვიეს. ხელბურთი ავსტრიაშიც პოპულარობით აარგებლობს ფეხბურთის, სამთო თბილისურებისა და ფიგურული ციგურების შემდეგ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ჩვენი გუნდი თბილისის ტურნირში... მეშვიდე ადგილზე გავიდოდა, თბილისის ტურნირში თითქმის ყველა გუნდს ჰყავდა კარგი მოთამაშე. თითოეული მათგანიდან, ჩემი ზარ-



ით, თითო საუკეთესოს დავასახელებ: გიორგი სვირიდენკო (სსრ კავშირი-1), ლასლავ ძიუბა (პოლონეთი), პეპი მინასკოვი (იუგოსლავია), კრისტინ ზაგარია (რუმინეთი), დომიტრი კარლოვი (სსრ კავშირი-II), დომიტრი აბესაძე (საქართველო).

გოლანდია. დასასრულს უახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის. ნახევარფინალური ტურნირის უკანასკნელ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები. ჩვენმა ხელბურთელებმა დამარჯვებულად დაამარცხეს ძლიერი მეტოქე — 24:17 და უფლება მიიღეს ოქროს მედლებისთვის იბრძოდნენ. გერმანიის გუნდს კი ნუგეშად ბრინჯაოს მედლების მოპოვების შანსი დაარჩა. საბჭოთა გუნდის მეტოქეები მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიელი სპორტმენები იქნებიან.

ჯუმბერ ლაშხი

(დასასრული)

ბატონი ღრეკად ბილიკებზე ვარჯიშობდნენ. მაღალი ამპლიტუდა მათ უფრო რთული კომბინაციების შესრულების საშუალებას აძლევდა. აი, სწორედ ამიტომ ვადაწყვეტიდა ჯუმბერმა თავისი იცნებები შევირდების დახმარებით განხორციელებინა.

პირველ დიდ წარმატებას ჯუმბერ ლაშხმა, როგორც მწვრთნელმა, მისთვის შედარებით „უცხო“ ვარჯიშში მიიღწია. მისმა აღზრდილებმა სვეტა მკრტიჩიანმა და თინა წიქარიძემ წყვილთა შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს. სვეტა შემდეგ სხვა პარტნიორთან ერთად მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ჯუმბერმა დაათმობა (თბილისი ავარჯიშმა) ქალთა კოლექტივის ერთ-ერთი წევრი ჯუმბერ ვარჯიშში, მსოფლიო ჩემპიონი მინანა მნათობიშვილი. მისი აღზრდილები ამჟამად იმდროინდელი დიპლომატიის პირობები არ ჰქონდათ ვარჯიშისთვის.

ყველაზე დიდ წარმატებას ჯუმბერ ლაშხის აღზრდილებიდან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გია მარმარაშვილმა მიიღწია. გიამ შარშან ჩინეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ვარჯიშში ვერცხლის მედალი მოიპოვა. მისწავლეთა ბოლო ორ საკავშირო სპარტაკიადზე ჯუმბერის ორი შევირდი ჩემპიონი გახდა. ზურაბ კილაძემ კალნასში გამარჯვება, ფატი სულაქველიძემ — ტაშკენტში.

წელს, მინსკში, სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადზე აკრობატების არც ერთ მწვრთნელს იმდენი ქულა არ მოუტანია თავისი გუნდისთვის, რამდენიც ჯუმბერ ლაშხმა. ფატი სულაქველიძე ჩემპიონი გახდა, ზურაბ კილაძემ კი, რომელიც დაშავებული ასპარეზობდა, V ადგილი დაიკავა. მწვრთნელს შედეგი ალბათ უფრო მაღალი ექნებოდა, მინსკში ჩვენი მხტომელების პირველ ნომერს გია მარმარაშვილსაც რომ ესაპარება (იგი ტრავმების გამო არ გამოდიოდა სპარტაკიადზე).

ჯუმბერ, კმაყოფილი ხართ მიწვევით? — მწვრთნელი, რომელიც მიწვევით კმაყოფილება, ის მწვრთნელი აღარ არის. მინდოდა მსოფლიო ჩემპიონი აღმეზარდა.

„ოქროს ბურთის“ ლაშხი

პირველი უმტლანდიელი...

20-იანი წლების „პადერსფილდ თაუნის“ დიდებისაგან 50-იანი წლებისთვის მოგონებდა ღარჩენილიყო („პადერსფილდ თაუნის“ პირველი კლუბი, რომელმაც 1924-1926 წლებში ზეიზელ სამჯერ იხემა ინგლისის ჩემპიონობა. ეს რეკორდი მხოლოდ ორმა კლუბმა გაიმეორა: 1933-1935 წლებში — ლინკოლნის „არჩენალმა“, 1982-1984 წლებში კი — „ლივერპულმა“). ახლა ერთ დროს სახელგანთქანი კლუბი კულში მოსიანჩალებდა პირველი ლიგის გუნდებს, 1956 წელს კი იძულებული გახდა მეორე ლიგაში გადაბარგებულიყო. პადერსფილდელებმა ვადაწყვეტიეს ახალგაზრდა ფეხბურთელებით გაემდიერებინათ გუნდი და ფართო სასელექციო კამპანია გააჩაღეს. გუნდის მენეჯერმა, შემდეგომში ერთ-ერთმა უდიდესმა ბრიტანელმა სპეციალისტმა ბილ შენკლიმ არაერთი უმეტესი გამოიკვლია. დიახ, პროფესიულ ფეხბურთში გზის გაკაფვა ბევრს სურდა. სწორედ ამიტომ, თითქოს არაფერი იყო განსაკუთრებული იმაში, რომ ერთ-მეორე დღეს კლუბის ერთ-ერთმა მწვრთნელმა ალექს ბიტმ „პადერსფილდ თაუნის“ ხელმძღვანელობას მორიგი „კანდიდატი“ მიუხედავად ამისა, ბიტის პროტექტს გამოიჩინა კლუბის სტადიონ „ლიდს როუდზე“ დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. ხმელ, აწოწილი ბიტს წითელი ჭოჩოხი თავზე ცეცხლოვით უბრალდებდა, ჩაჩაწულ შარვლის ჯიბეებში ხელბურთელები, თავდახრილი იდგა გამზირულელებს მასპინძელთა წინაშე და გამხდარი ფეხები უხერხულობისკენ ისე არაბუნებრივად გადახრებდა, მართალია მძელი იყო სიცილის შეკავება. პატარა, წაწყვეტილ ცხვირზე წამოკოსებული მრგვალმარჩოხანი სათვალე ემარჯვებოდა არასპორტულ გარეგნობას რაღაც ავადმყოფურ იერს აძლევდა. „არჩი, შენ გგონია, რომ ამ კოლუნისგან ფეხბურთელი გაქმოვა?“ — გაისმოდა ირანული შექმნილობა. ბოლოს და ბოლოს ვილაქამ, აქოლა სერის განხატვით, ახალბედებს ბურთი გადაუვლო. ბუკმა მოხერხებულად დაიჭირა ბურთი და...

ლი გუნდის შემადგენლობაში ითამაშა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თაისი გათამაშების მორიგი ეტაპის მატჩში მისი გუნდი ლონდონში „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ შეხვდა. სტუმრებმა პირდაპირ გაანადგურეს ძლიერი მეტოქე — 5:1. ხუთივე ბურთი გუშინდელმა „მახინჯმა იხვის ქუჭულმა“ გაიტანა! მაშინ იგი 17 წლისა იყო! კიდევ ერთი წლის შემდეგ მან პირველად ითამაშა შოტლანდიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა-



ში. მალე მთელმა ფეხბურთის სამყარომ გაიგო მისი სახელი — დენის ლოუ. 1964 წელს კი იგი, უკვე სპეცენორად აღიარებული ოსტატი, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. დიახ, დენის ლოუ მართლაც მეტეორული შემოიჭრა დიდ ფეხბურთში. იგი დაიბადა 1940 წლის 24 თებერვალს შოტლანდიის მეტეფეთა ქალაქ აბერდინში. მისი მშობლები ხელმოკლე ცხოვრობდნენ და დენისისთვის ფეხბურთის სიარობისგან თავის დარღვევის თითქმის ერთადერთი გზა იყო. მას მშვენიერად ესმოდა ეს და, თუმცა ფიზიკური მონაცემები ხელს არ უწყობდა, იმთავითვე ემზადებოდა ფეხბურთისად. კარიერისთვის. მონდომებამ თავისი გაიტანა და უმეტესად „მალე მიაღწია სა-

წადელს. მისი პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. 1960 წელს ლოუ „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა. მანჩესტერელებმა იგი 55 000 გირანქა სტერლინგად იყიდეს, სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ კი 100 000 გირანქა სტერლინგად დაუთმეს იტალიის „ტორინოს“. მაგრამ ლოუ ვერ შეეგუა იტალიას. ერთი წლის შემდეგ იგი დაბრუნდა მანჩესტერში და ამჯერად „იუნაიტედში“ დაიწყო თამაში. სწორედ ამ კლუბში, თავისი სახელგანთქმული თანამემამულის მატ ბასბის მეტავალყურეობით შეძლო დენის ლოუმ თავისი ნიჭის მთლიანად გამოვლენა. ბობი ჩარლტონთან და ჯორჯ ბესტთან ერთად იგი იყო „ბასბის ჩვილების“ იმ დიდი სამეფოს წევრი, რომელზე დაყრდნობითაც 1968 წელს მანჩესტერელებმა შეძლეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოპოვება. ლოუმ „იუნაიტედში“ თერთმეტი სეზონი გაატარა და შემდეგ კვლავ „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა, სადაც 1974 წელს დაასრულა კიდევ თავისი კარიერა. მაგრამ ფეხბურთთან გამოშვებულობის წინ ლოუმ აისრულა დიდი ხნის ნატვრა: როგორც შოტლანდიის ეროვნული ნაკრების წევრმა, მონაწილეობა მიიღო 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში (სულ ნაკრებში ჩაატარა 55 შეხვედრა და გაიტანა 30 გოლი).

ერთხელ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ მორიგი „მსხვერპლის“, პოლონეთის ჩემპიონის, ზაბეცს „გურნიკის“ უნგრულმა მწვრთნელმა გეზა კოლოჩამ ასე გამოხატა თავისი აღფრთოვანება: „წითელი ემშაკებისა“ და მისი ლიდერების თამაშით: „მანჩესტერ იუნაიტედი“ დიდი გუნდია. მისი საუკეთესო მოთამაშეა ბობი ჩარლტონი. დიახ, ბობი საუკეთესოა... მაგრამ კიდევ უკეთესია ჯორჯ ბესტი. ო, ჯორჯი შეუდარებელია... თუმცა, არსებობს მასზე ძლიერი ფეხბურთელიც, საუკეთესო საუკეთესოთა შორის. ეს ფეხბურთელია დენის ლოუ. ო, ლოუს ბადალი არა ჰყავს. იგი მართლაც ემშაკია, ოლონი — ყველაზე დიდი ემშაკი ემშაკთა შორის“.

ზურაბ ფოსტაძე

